

შპს კრაფტარეა

ს/კ 405360595

**საადრიცხო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების
განმარტებითი შენიშვნები**

2024წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს “კრაფტარეა” გახლავთ კრაფტ ლუდსახარშების კომპანია 9 წლიანი გამოცდილებით, რომელიც ოპერირებს ბრენდით “2 ტონა”. პირველად, ბაზარზე გამოჩნდა როგორც მიკრო-სახარში, დღესდღეისობით კი, ერთ-ერთი ყველაზე დიდი კრაფტ ლუდსახარშია ბაზარზე, რომელიც თვის ჭრილში აწარმოებს დაახლოებით 20 ტონა ლუდს.

“2 ტონა”-ს ძირითადი კონცეფცია არის პრემიუმ ხარისხის ადგილზე მოხარშული არაპასტერიზებული კრაფტ ლუდის ფართო ასორტიმენტი, რომელიც შედგება 7 სახეობის სტილისგან. ლუდის სფეროში ლიდერობას განაპირობებს ის მაღალი ხარისხის გერმანული და ამერიკული (Kaspar მცჰულზ-ის და ABE-ს ბრენდის) დანადგარები და ნედლეული, რომლების გამოყენების სტანდარტებსაც “2 ტონა” უკვე წლებია იცავს.

“2 ტონა”-ს ძირითადი მიზანი არის კრაფტ ლუდის პოპულარიზაცია. ჩვენი სურვილია ვანახოთ მომხმარებლებს, რომ შესაძლებელია ქართულმა კომპანიამ მხარი აუბას და არ ჩამორჩეს კრაფტ ლუდის მიმართულებით ამერიკულ, სკანდინავიურ, ბელგიურ და ა.შ. ლუდსახარშებს, რომლებიც დღეის მდგომარეობით განვითარების უმაღლეს საფეხურზე არიან ამ სფეროში. გვსურს, რომ მაღალი ხარისხის კრაფტ ლუდი გავხადოთ მომხმარებლებისთვის ხელმისაწვდომი, როგორც მაქსიმალურად მასშტაბირებით, ასევე დემოკრატიული და კონკურენტუნარიანი ფასებით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზისზე მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათობებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით

- ✓ სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.
- ✓ მოგების გადასახდის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადებისა და გადავადებული გადასახადების ჯამი.
- ✓ მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას. გადავადებული გადასახადი აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებსა და მათ შესაბამის საგადასახადო ბაზებს შორის სხვაობასთან (ე.წ. დროებითი სხვაობა) მიმართებით. ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია რომ მომავალში გაზრდის საგადასახდო მოგებას, აღიარდება გადავადებული საგადასახადო ვალდებულებები. გადავადებული საგადასახადო აქტივები აღიარდება ყველა დროებითი სხვაობის მიხედვით, რომელიც მოსალოდნელია, რომ მომავალში შეამცირებს საგადასახადო მოგებას ასევე ყველა გამოუყენებელ საგადასახადო ზარალთან, ან გამოუყენებელ საგადასახადო კრედიტთან მიმართებით. გადავადებულ საგადასახადო აქტივების შეფასება ხდება მაქსიმალური შესაძლო თანხით, რომლის აღდგენაც უფრო მოსალოდნელია, ვიდრე არა, მიმდინარე საგადასახადო მოგებისა, თუ შეფასებული მომავალი საგადასახდო მოგების საფუძველზე.

- ✓ გადავადებული საგადასახადო აქტივების წმინდა საბალანსო ღირებულება განიხილება ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის და მისი კორექტირება ხდება მომავალი საგადასახადო მოგების მიმდინარე შეფასების ასახვის მიზნით. ნებისმიერი კორექტირების თანხა აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.
- ✓ გადავადებული გადასახადი გაიანგარიშება იმ საგადასახადო განაკვეთების მიხედვით, რომლებიც, სავარაუდოდ, გავრცელდება იმ პერიოდების საგადასახადო მოგებაზე (საგადასახადო ზარალზე), როდესაც საწარმო მოელის გადავადებული საგადასახადო აქტივის გამოყენებას ან გადავადებული საგადასახადო ვალდებულების დაფარვას და უკვე ძალაში შესულია, ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო თარიღისთვის.
- ✓ ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით. ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.
- ✓ არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამ-მულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად."
- ✓ ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივის განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქვტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.
- ✓ ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-ლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო - მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო -მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით

შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

- ✓ იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.
- ✓ იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად. ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში" და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.
- ✓ ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.
- ✓ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ხდება საშუალო შეწონილი მეთოდით.
- ✓ რეალიზაცია, ძირითადად ხორციელდება უნაღდო ანგარიშწორებით
- ✓ სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

- ✓ ბანკის სესხის საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარებში."

მოგება ზარალის ანგარიშგება			
	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	3	1 907 407,00	1 517 138,00
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	4	-1 008 302,00	-1 015 066,00
საერთო მოგება		899 105,00	502 072,00
დასაქმებულთა ანაზღაურება		-318 400,00	-226 648,00
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		-238 188,00	-144 500,00
სხვა საოპერაციო შემოსავალი			
სხვა საოპერაციო ხარჯი		-6 532,00	-9 085,00
საოპერაციო (ზარალი)/ მოგება		335 985,00	121 839,00
ფინანსური შემოსავალი		30 424,00	16 617,00
ფინანსური ხარჯი	5	-46 087,00	-38 407,00
მოგება დაბეგვრამდე		320 322,00	100 049,00

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	8	1 751 740	1 560 013
არამატერიალური აქტივები		20127	
სულ გრძელვადიანი აქტივები		1771867	1560013
მიმდინარე აქტივები			
მარაგები	7	221370	248956
საგადასახადო აქტივი			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	269776	322852
ფული და ფულის ექვივალენტები	11	12597	1700
სხვა მოკლევადიანი აქტივები			
გაცემული სესხები		290442	-
სულ მიმდინარე აქტივები		794185	573508
სულ აქტივები		2566052	2133521
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		306913	306913
გაუნაწილებელი მოგება/ (დაგროვილი ზარალი)	10	543677	223355
გადაფასების რეზერვი			
სულ კაპიტალი		850590	530268
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები		426220	412540
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		426220	412540
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები			
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	1266437	1169905
საგადასახადო ვალდებულებები		22805	20808
გადასახდელი პროცენტი			
გადასახდელი დივიდენდი			
სულ მიმდინარე ვალდებულებები		1289242	1190713
მთლიანი ვალდებულებები		1715462	1603253
მთლიანი კაპიტალი და ვალდებულებები		2566052	2133521

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2022 წლის 31 დეკემბერი	306913	123306	430219
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		100049	100049
2023 წლის 31 დეკემბერი	306913	223355	530268
მიმდინარე წლის სრული შემოსავალი		320322	320322
2024 წლის 31 დეკემბერი	306913	543677	850590

შენიშვნა 3. ამონაგები

	2024 წელი	2023 წელი
საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავალი	1 846 942	1 517 138
მომსახურებით მიღებული შემოსავალი	60 465	0
სულ	1 907 407	1 517 138

შენიშვნა 4. თვითღირებულება

	2024 წელი	2023 წელი
	1 008 302	1 015 066
თვითღირებულება შეადგენს რეალიზებული პროდუქციის შეძენის დანახარჯებს		

შენიშვნა 5. ფინანსური დანახარჯები		
	2024 წელი	2023 წელი
სესხის პროცენტი	46 087	38407
ფინანსური იჯარის პროცენტი		

შენიშვნა 6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები		
	2024 წელი	2023 წელი
სავაჭრო დებიტორები	269 776	322 852
წინასწარი გადახდები	290 442	

შენიშვნა 7. სასაქონლო - მატერიალური ფასეულობები		
	2024 წელი	2023 წელი
ნედლეული და მასალები	221 370	248 956
დაუმთავრებელი წარმოება		
მზა პროდუქცია		

შენიშვნა 8. ძირითადი საშუალებები		
	2024 წელი	2023 წელი
მიწა და შენობა-ნაგებობები		
მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	1 751 740	1 560 013
არამატერიალური აქტივები	20 127	

შენიშვნა 9. სავაჭრო ვალდებულებები		
	2024 წელი	2023 წელი
მომწოდებლებთან და მომსახურებრიდან წარმოქმნილი ვალდებულება	1 266 437	1 169 905

შენიშვნა 10. კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრისთვის კაპიტალის ნაშთი შეადგენს 850 590, რომელიც შედგება დამფუძნებელთა შენატანის 306913 ლარის და გაუნაწილებელი მოგების 583 677 ლარისაგან.

შენიშვნა 11. ფულადი სახსრები და ფულადი		
	2024 წელი	2023 წელი
ფულადი სახსრები სალაროში		
ფულადი სახსრები ბანკში	12,597	1700

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 31 მარტს.

ზაზა ჭაბუკიძე



გ. ჯიშინიძე

ფინანსური მდგომარეობა			
ფინანსური მდგომარეობა	31/12/2024	31/12/2023	31/12/2022
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	12597	1700	1070
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	269776	322852	11963
სხვა პირებზე ავანსებად და სესხებად გაცემული ფულადი სახსრები	290442	0	30668
მარაგები	221370	248956	116612
მზა პროდუქცია	0	0	0
სხვა	221370	248956	116612
საინვესტიციო ქონება	0	0	0
სხვა მოკლევადიანი აქტივები	0	0	0
ბიოლოგიური აქტივები	0	0	0
თვითღირებულების მოდელით	0	0	0
გადაფასების მოდელით	0	0	0
გუდვილი	0	0	0
სხვა არამატერიალური აქტივები	20127	0	0
ძირითადი საშუალებები	1751740	1560013	1097941
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	0	0	0
ინვესტიციები სხვა საწარმოთა წილობრივ ინსტრუმენტებში	0	0	0
სხვა გრძელვადიანი აქტივები	0	0	0
სულ აქტივები	2566052	2133521	1258254
ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	0	0	0
სავაჭრო ვალდებულებები	1266437	1169905	742240
ანარიცხები	0	0	0
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	0	0	3394
საგადასახადო ვალდებულებები	22805	20808	23046
გამოუმუშავებელი შემოსავალი	0	0	0
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	0	0	0
გრძელვადიანი ნასესხები სახსრები	426220	412540	59355
მიღებული გრანტები	0	0	0
სხვა ვალდებულებები	0	0	0
სულ ვალდებულებები	1715462	1603253	828035
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის წევრების მიერ)	306913	306913	306913
საემისიო შემოსავალი	0	0	0
გამოსყიდული საკუთარი აქციები	0	0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	543677	223355	123306
გადაფასების რეზერვი	0	0	0
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები	0	0	0
სულ საკუთარი კაპიტალი	850590	530268	430219
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	2566052	2133521	1258254
სულ მოკლევადიანი აქტივები	794185	573508	160313
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1289242	1190713	828035
კაპიტალიზირებული განვითარების დანახარჯები	0	0	0

საქმიანობის შედეგები		
საქმიანობის შედეგები	31/12/2024	31/12/2023
ნეტო ამონაგები	1907407	1533755
საქონლის გაყიდვიდან	1846942	1517138
მომსახურების გაწევიდან	60465	0
სამშენებლო ხელშეკრულებებიდან	0	0
სხვა	0	16617
გაყიდვების თვითღირებულება	-1008302	-1015066
საწყისი მარაგები	0	0
მარაგების შესყიდვა	0	0
გადამუშავების დანახარჯები	0	0
საბოლოო მარაგები	0	0
საერთო მოგება	899105	518689
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0	0
დასაქმებულთა ანაზღაურება	-318400	-226648
ცვთა / ამორტიზაციის ხარჯი	-18667	-9085
საპროცენტო შემოსავალი	30424	0
საპროცენტო ხარჯი	-46087	-38407
იჯარის ხარჯი	-60385	0
აღმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	-161101	-144500
სულ საოპერაციო ხარჯები	-574216	-418640
საოპერაციო მოგება	324889	100049
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
ფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
მარაგების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	0	0
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) უცხოური ვალუტით ვაჭრობიდან და სავალუტო სახსრების გა	-4567	0
მიღებული დივიდენდები	0	0
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი / (ხარჯი)	0	0
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	320322	100049
მოგების გადასახადის ხარჯი	0	0
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	320322	100049
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
ძირითადი საშუალებების (მათ შორის, ბიოლოგიური აქტივების) გადაფასების რეზერვი	0	0
სხვა (მათ შორის წილი ერთობლივი და მეკავშირე საწარმოების უძრავი ქონების გადაფასების რ	0	0
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი), სულ:	0	0
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	320322	100049
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	530268	430219
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში	0	0
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)	0	0
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში	0	0
კაპიტალის სხვა ცვლილებები	0	0
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	850590	530268
კვლევისა და განვითარების ხარჯები	0	0